საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალატოზიშვილი გიორგი (ტიტო) მიხეილის ძე

გ. კალატოზიშვილი

კალატოზიშვილი გიორგი (ტიტო) მიხეილის ძე (26. IX. 1929, თბილისი, – 22. VII. 1984, იქვე), კინოოპერატორი, კინორეჟისორი. საქართვ. სახ. არტისტი (1980). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშ. სახელმწ. ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (ბ. ვოლჩეკის სახელოსნო, 1954). კ-ის პირველი ოპერატორული ნამუშევარია ფილმი "პატარძალი" (ვ. კოროტკოვთან ერთად. რეჟ. გ. ნიკულინი, ვ. შრედელი, 1957, რუსეთი). 1958-იდან მუშაობდა კინოსტუდია "ქართულ ფილმში" დამდგმელ ოპერატორად. გადაიღო ფილმები: "წარსული ზაფხული" (1959), "ამბავი ერთი ქალიშვილისა" (1960), "ჭიაკოკონა" (1961), "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (1962), "თეთრი ქარავანი" (ლ. კალაშნიკოვთან ერთად, 1963), "მე ვხედავ მზეს" (1965), "მაცი ხვიტია" (ი. ამასიისკისთან ერთად, 1966), "ლონდრე" (1966). კ-ის სარეჟისორო დებიუტია სატელევიზიო ნოველა "არღანი" (1967). დამდგმელი რეჟისორია ფილმებისა: "ფილატელისტის სიკვდილი" (1969), "მე, გამომძიებელი" (1971), "კაფე იზოტოპი" (1977, "მოსფილმი"); "ციმბირელი პაპა" (1973), "კიკვიძე" (გ. გაბესკირიასთან ერთად, 1980). ლ. ტოლსტოის ნაწარმოებების მიხედვით გადაიღო სატელევიზიო ფილმები "კავკასიის ტყვე" (1976 – კინოპრესის საერთაშ. ფედერაციის პრიზი, მონტე-კარლოს სატელევიზიო ფესტივალი, 1978) და "კავკასიური ამბავი" ("კაზაკების" მიხედვით, 1978). ქართ. მუს. ფოლკლორის პოპულარიზატორს, ჩეხ მუსიკოსსა და მომღერალს, იოსებ ნავრატილს მიუძღვნა ფილმი "გმადლობთ, რატილი" (1983). მუშაობდა ფილმზე "სკაპენის ოინები" (მოლიერის პიესის მიხედვით), რ-იც მისმა ვაჟმა – მ. კალატოზიშვილმა

დაასრულა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

მ. კერესელიძე